ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №943822

ნომერი: AR1166843

თარიღი : 04.10.2013

გაცემის თარიღი : 11.10.2013

გაცნობის თარიღი : 12.10.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბაგების მიმდებარედ, წყნეთის გზატკეცილის სამხრეთით., (ნაკვ.1/73) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რამაზ მოსაშვილი პ/ნ 01005002608
- თბილისი კ.მარჯანიშვილის ქ. N 4

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 02 აგვისტოს #825090 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2013 წლის 04 ოქტომბერს

#AR1166843 განცხადებით მომართა სს ”იბერია უძრავი ქონება”–ს დირექტორმა რამაზ მოსაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2013 წლის 02 აგვისტოს #825090 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ: საზაფხულო ფართობში შემავალი ფართების ჩაშლა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 02 აგვისტოს #825090 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ბაგების მიმდებარედ, წყნეთის გზატკეცილის სამხრეთით (ნაკვეთი N1/73), კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N01.14.08.001.073), შეთანხმებული გრგ–ს მიხედვით მე–14 სექტორში, N14 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2013 წლის 02 აგვისტოდან 2014 წლის 02 ოქტომბრის ჩათვლით.

ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში საზაფხულო ფართობად დაფიქსირდა 388.6 კვ.მ. განმცხადელი ითხოვს საზაფხულო ფართში შემავალი ფართების ჩაშლას, კერძოდ: აივნების ფართობად 28.4 კვ.მ–ს დაფიქსირებას, ხოლო ტერასების ფართობად 360.2 კვ.მ–ს მითითებას.

სამსახურმა შეთანხმებული არქიტექტურულ პროექტის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ აივნებისა და ტერასების ფართობების ჯამი უდრის სამსახურის 2013 წლის 02 აგვისტოს #825090 ბრძანებაში მითითებულ საზაფხულო ფართობის ციფრობრივ მაჩვენებელს. ამასთან, ჩაშლილი ფართების ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეესაბამება შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს ცვლილება ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში, ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრის ნაწილში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 02 აგვისტოს #825090 ბრძანებაში და საზაფხულო ფართობის ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

. საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 388.6

მათ შორის:

.აივნების ფართობი (კვ.მ).: 28.4

. ტერასების ფართობი (კვ.მ).: 360.2

2. დანარჩენ ნაწილში ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 02 აგვისტოს #825090 ბრძანება დარჩეს უცვლელი;

3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 02 აგვისტოს #825090 ბრძანებასთან ერთად;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.